

გივი თალაკვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი.

საქართველო 2023: მიმდინარე ეტაპის პრიორიტეტებისა და რესურსების შესახებ

წინამდებარე პუბლიკაციის ფორმატი განსხვავდება ავტორისა და მისი კოლეგების წინა პუბლიკაციების (მონოგრაფიების, ანალიტიკური და მიმოხილვითი ხასიათის სტატიების) და პრეზენტაციების ფორმატისაგან. ეს განპირობებულია გლობალური, რეგიონული და ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე პროცესების, მოვლენებისა და საერთაშორისო ურთიერთობების უპრეცედენტო დინამიზმით, პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ხარისხის მნიშვნელოვანი ამალღებით, სოციალური პრობლემების გამწვავებით.

აღნიშნული გარემოებები თავის მხრივ, აყალიბებენ ანალიტიკის, კვლევების, დასკვნების, რეკომენდაციებისა და პროგნოზებისადმი **მკაფიოდ გამოხატული გამოყენებითი ღირებულების მქონე შინაარსის მინიჭების აუცილებლობას.**

გამომდინარე აქედან, მოცემულ ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოყვანილია, ავტორის აზრით, მიმდინარე ეტაპის ყველაზე აქტუალური საკითხები, რომელთა ყოველმხრივი და დეტალური განხილვა და შესაბამისი დასკვნების ფორმირება უახლოეს პერიოდშივე უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება 2019-2022 წლების მთავარ გამოწვევებს, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვყოთ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი:

პირველი:

ჯერ კიდევ არ დასრულებულა პანდემია კოვიდ-19 გავრცელების პროცესი და მის მიერ გამოწვეული შედეგების ანალიზი.

2023 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით მსოფლიოში, რომლის მოსახლეობამ 8,018,720,416 ადამიანს მიაღწია, დაავადებულთა საერთო რაოდენობამ 679,503,595 (მოსახლეობის 8.5%), ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 6,797,620 (0,085%) შეადგინა.

საქართველოში შესაბამისი მაჩვენებლები ასეთია: დაავადებულია - 1,862,590 (50,5% !), ხოლო გარდაცვლილი - 16,965 (0,47% !)¹⁾. **გამოდის, რომ საქართველოს მაჩვენებლები 6-ჯერ და 5,4-ჯერ უარესია ვიდრე საშუალოდ მსოფლიოში.**

რა არის ასეთი ვითარების მიზეზი? უპასუხისმგებლობა, დაბალი კვალიფიკაცია, არაორგანიზებულობა თუ ყველაფერი ერთად? პასუხები გასაცემია და რაც შეიძლება მოკლე დროში, კონკრეტული მიზეზების დასახელებით და მომავალში მსგავსი სიტუაციების ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების მკაფიო და შესრულებადი პროგრამის შემუშავების და რეალიზაციის სახელმწიფო გარანტიით.

მეორე:

გრძელდება და ძლიერდება გლობალური დათბობით, ეკოლოგიური და ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეული ნეგატიური და საშიში მოვლენები.

რამდენიმე დღის წინ, მეზობელ თურქეთსა და სირიაში მომხდარი უძლიერესი მიწისძვრები, რომლებმაც უდიდესი ადამიანური მსხვერპლი და ჯერჯერობით \$70 მილიარდად შეფასებული ეკონომიკური ზარალი გამოიწვია, მკაფიო და საყურადღებო სიგნალი უნდა გახდეს ამ ქვეყნების და მათი უშუალო მეზობლებისთვისაც, მათი მთავრობებისათვის და საგანგებო სიტუაციების მართვის სტრუქტურებისათვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ როგორც სომხეთს (სპიტაკი, 1998 წ.), ასევე საქართველოს (დმანისი, 1978 წ., საჩხერე და ამბროლაური, 1991 წ.) კარგად ახსოვთ მათ ტერიტორიებზე მომხდარი მიწისძვრების კატასტროფიული შედეგები.

ამ მხრივ ყურადსაღებია ექსპერტების მოსაზრებები თბილისში გახშირებული მრავალსართულიანი შენობების უსისტემო მშენებლობების მიზანშეწონილობის, არსებული საბინაო ფონდის ავარიული სეგმენტის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხები.

შემამფოთებელია აგრეთვე ეკოლოგიური სამსახურების მიერ დადგენილი თბილისში ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები, რომლებიც ნორმებს 300% (!)-ით აღემატება, რასაც ემატება ტრანსპორტის მოძრაობის კოლაფსს მიახლოებული მდგომარეობაც.

მესამე:

კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, განსაკუთრებით რიგ ქვეყნებში, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები. სამწუხაროდ, საქართველო ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. მხედველობაშია საქართველოში მსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა, შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების დინამიკა, მიგრაციის მაჩვენებლები.

სტატისტიკა ასეთია²:

საშუალო ასაკი ----- 38,6 წ. -60 -ე ადგილი 228 ქვეყანას შორის.

(მაქსიმალური მაჩვენებელია მონაკოში - 55,4წ., მინიმალური - ნიგერში - 14,8წ.).

შობადობის მაჩვენებელი ----- 11 (1000 მოსახლეზე) - 168-ე ადგილი 218 ქვეყანას შორის. (მაქსიმალური მაჩვენებელია ნიგერში - 47, მინიმალური - მონაკოში - 6,5).

სიკვდილიანობა ----- 10,8(1000 მოსახლეზე) - 24-ე ადგილი 229 ქვეყანას შორის.

(მაქსიმალური მაჩვენებელია სერბეთში - 16,39, მინიმალური - ყატარში - 1,42).

მოსახლეობის ზრდა ----- 0.03 - 192-ე ადგილი 237 ქვეყანას შორის.

(მაქსიმალური მაჩვენებელია სირიაში - 5,91, მინიმალური - პუერტო-რიკოში - -1,3).

მიგრაციის კოეფიციენტი ----- 0,06, 81 -ე ადგილი 231 ქვეყანას შორის.

(მაქსიმალური მაჩვენებელია სირიაში - 40,51, მინიმალური - სამოაზე - -29,8).

(ცნობისათვის: დღეს მსოფლიოში 252 ქვეყანაა, მათ შორის გაეროს წევრი - 193, დამკვირვებელი - 2, ნაწილობრივ აღიარებული - 6, არაღიარებული - 6, სხვადასხვა სტატუსის მქონე - 45. ყოველი მათგანისათვის, განურჩევლად მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონისა და პოლიტიკური წყობის - ძირითად პრიორიტეტებს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის **უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს**).

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში კრიტიკულის ზღვარზეა. მისი ერთბაშად გამოსწორება შეუძლებელია. მთავარია, გაუარესების ტენდენციის შეჩერება და დადებითი დინამიკის სავრცეში მისი

გადაყვანა, რაც სოციალ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შინამეურნეობათა შემოსავლების ამაღლების გარეშე ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

მეოთხე:

რუსეთის სპეციალურმა სამხედრო ოპერაციამ, რომელიც რუსეთმა დაგეგმა როგორც მოკლევადიანი დაპყრობითი ღონისძიება, მრავალი ობიექტური ფაქტორის გარდაუვალი ამოქმედების შედეგად, გადაიზარდა რუსეთისა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების კოალიციის უმწვავეს სამხედრო დაპირისპირებაში, რამაც გამოიწვია სუვერენული უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ფართო მასშტაბის საომარი მოქმედებები, ასიათასობით ადამიანის სიკვდილი, რამდენიმე ასეული მილიარდი დოლარის ეკონომიკური ზარალი, უკრაინის მილიონობით მაქალაქის მიერ საკუთარი საცხოვრისის დატოვება და იძულებითი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გლობალური მასშტაბის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემების დისბალანსი.

საქართველოს მიმდინარე პრიორიტეტებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უკრაინასთან ალოგიკური და ამდენად გაუმართლებელი, ორივე ქვეყნისთვის კონტრპროდუქტიული გაურკვევლობებისა და გაუგებრობების აღმოფხვრისა და ქართველი და უკრაინელი მოძმე ხალხების მრავალწლიანი მჭიდრო, ტრადიციული, ურთიერსასარგებლო ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

ეს ურთიერთობები სცილდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებსა და ევროკავშირში მიღების თემას. საქართველოს და უკრაინის ერთიანობასა და შეთანხმებულ მოქმედებებსა და ინიციატივებს სულ ახლო მომავალში შეუძლია ახალი და ძლიერი ბიძგი მისცენ ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთი კავკასიისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ეფექტიან ინტეგრაციულ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ პროცესებს. სწორედ ეს იყო საფუძველი დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (სუამი) — სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის შექმნის, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის ოქტომბერში ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ — საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა (1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში აგრეთვე შედიოდა უზბეკეთი) და რომლის რენაიმირება და საერთაშორისო სივრცეში აქტიური რეამოქმედება აქტუალურია და ოპტიმალური ტაქტიკისა და ტონალობის შერჩევის შემთხვევაში, შეიძლება მიმდინარე ეტაპზე გახდეს პოზიტიური შედეგების გამომწვევი.

მეხუთე:

საქართველოს მიმდინარე პრიორიტეტებზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ბოლო წლებში მიმდინარე გლობალური ცვლილებების აჩქარება, რომელიც ყველაზე უფრო რადიკალურ პროგნოზებსაც კი ანგრევს.

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, მსოფლხედვითი პროცესების სივრცეებიდან განვითარების უნივერსალური პროცესის სივრცეში გადასვლა, მკვეთრი პოლიტიკური დესტაბილიზაცია, საერთაშორისო სტრუქტურების, მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების, ცალკეული მაღალი საზოგადოებრივი გავლენების მქონე სუბიექტების საფუძვლიანი და უსაფუძვლო განცხადებები და მოქმედებები აყალიბებენ გლობალური განვითარების წინა პერიოდებისგან თვისობრივად განსხვავებულ ახალ მსოფლიო წესრიგს.

მისი ძირითადი ავტორებიც და აქტორებიც, როგორც 2020-2022 წლების და 2023 წლის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენების პირველადმა ანალიზმა ცხადყო, მათ მიერვე გენერირებულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის ახალ სივრცეებში ვერც წინა

პერიოდების დროს შეძენილ გამოცდილებასა და აქტივებს და ვერც სადღეისოდ მათ ხელთ არსებულ ეკონომიკურ რესურსებს ჩვეული ეფექტიანობით ვეღარ გამოიყენებენ. უნდა გავიმეოროთ - **საქმე გვაქვს კაცობრიობის განვითარების თვისობრივად განსხვავებულ, უპრეცედენტო ეტაპის საწყის სტადიასთან.**

ამჟამად, მთავარი ამოცანაა ამ ეტაპში, შეძლებისდაგვარად, ნაკლები დანაკარგებით შესვლა, მასში არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ადაპტაცია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პანდემია კოვიდ-19, რომლის სრული და საყოველთაო ლიკვიდაცია სათუო ხდება და რომელიც ხსენებული გლობალური წესრიგის ერთ-ერთ მუდმივმოქმედ კომპონენტად ყალიბდება, ყველა ნეგატიურ შედეგებთან ერთად, შეიცავს ერთ პოზიტიურ შედეგსაც: **ადამიანებმა მიიღეს მკაფიო სიგნალი თვითგადარჩენის და თვითგანვითარებისათვის ახალი გზების და მეთოდების მოძიების აუცილებლობასთან დაკავშირებით.**

საქართველო, რომელიც იმის მიუხედავად, რომ ახალი რეალობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და შესაბამის გამოწვევებში სადღეისოდ, ჯერ-კიდევ, ინერციულად პასიურ მომაწილეთა შორისაა, მაღალი ალბათობით სრულად იგრძნობს მისი ზემოქმედების ყველა შედეგს, რისთვისაც მომზადებაა საჭირო.

რას გულისხმობს ასეთი მომზადება?

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს განვითარების ძირითადი საკითხი მისი მიმდინარე პრიორიტეტების განსაზღვრასა და საკუთარი ინტეგრალური რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციაში, ახალი ინოვაციური ინიციატივების შემუშავებასა და მათი იმპლიმენტაციისათვის აუცილებელ მოქმედაბათა გეგმების შემუშავებაში მდგომარეობს.

საქართველოს ძირითადი პრიორიტეტები ზოგადად, ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენ ქვეყნებში: **ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა.** მაგრამ წარმატებას მხოლოდ ის ქვეყნები მიაღწევენ, რომლებიც შესძლებენ თავისი მიზნებისა და საკუთარი შესაძლებლობების დაბალანსებას, ანუ მდგრადი განვითარებისათვის პირობების ჩამოყალიბებას, რაც ბევრად არის დამოკიდებულია მათი მიმდინარე პრიორიტეტებისა და ინტეგრალური რესურსების სტრუქტურასა და მახასიათებლებზე.

და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის ინტეგრალური რესურსების შესახებ.

2015-2023 წლებში ამ თემაზე გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრისა და გამოყენებითი ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის თანამშრომელთა მრავალი მონოგრაფია და სამეცნიერო კვლევა, გაიმართა პრეზენტაციები, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, წამყვანი სამინისტროების მოედნებზე, ასევე რიგ უმაღლეს სასწავლებლებში, ეროვნულ და დარგობრივ მაცნიერებათა აკადემიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში. ყველგან აღინიშნებოდა განხილული პრობლემატიკის აქტუალობა და რეალურ ეკონომიკაში ჩართვისა და კონკრეტული პროექტების სახით რეალიზაციის აუცილებლობა. ამდენად, დროულად და მართებულად მიგვაჩნია შევჩერდეთ საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის აქტუალურ და საჭირობოროტო თემებსა და პრობლემებზე რომელთა ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავება უახლოეს პერიოდშია განსახორციელებელი.

ეს თემები, პირველ მიახლოებაში, ჩვენი შეხედულებით, შემდეგია:

- საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნების და მოლოდინების სტრუქტურა.
- საქართველოს მდგრადი განვითარების სამიზნე პარამეტრები.
- მართვის საპროექტო სისტემა: თავისებურებები და უპირატესობები.
- პანდემია კოვიდ-19 საქართველოში: შედეგები და გაკვეთილები.
- საქართველოს სამეზობლო პოლიტიკა: მიმდინარე მდგომარეობა, აქცენტები.
- გლობალური განვითარების 17 მიზანი, ევროკავშირის 12 მოთხოვნა, „ხედვა-2030“- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - თანხვედრები და წინააღმდეგობები.
- ნეონდუსტრიული ეპოქის სარესურსო პარადიგმა საქართველოში.
- გლობალური სტანდარტები და მათი დანერგვა.
- საქართველო - აზიისა და ევროპის ერთობლივი პროექტების ძირითადი კომუნიკატორი.
- საქართველოს სისტემაშემქმნელი სტრუქტურები და მათი ფუნქციონირების მექანიზმები.
- საქართველოს დემოგრაფიული და მწარმოებლური რესურსები.
- კომპეტენციებისა და ინოვაციური პროექტების რეგიონული ცენტრი საქართველოში.
- გამოყენებითი და შედარებითი ანალიზი: საქართველო - რეგიონი - მსოფლიო.
- საქართველოს როლი, ფუნქცია და შესაძლებლობები განვითარების მიმდინარე ეტაპზე.
- გამოყენებითი ანალიტიკის და პროგნოსტიკის ცენტრის სამუშაო სივრცე.
- ობიექტური და სრულყოფილი სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები - მდგრადი წინსვლითი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი.
- ზღვრული ამოცანები გამოყენებით ანალიტიკაში.
- ინტეგრალური რესურსები: არსი, სტრუქტურა, მექანიზმები.
- საქართველო - ინოვაციური პროექტების განვითარების პოლიგონი.
- ენერგეტიკული თვითუზრუნველყოფიდან -გენერაციის საექსპორტო სიმძლავრეებამდე.
- განხლებადი ენერგეტიკის პერსპექტივები საქართველოში.
- ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კორელაცია.
- უნივერსალური სასწავლო-საგანმანათლებლო კურსი „რესურსმცოდნეობა“.
- საქართველოს ბუნებისდაცვითი და ეკოლოგიური კონცეფცია.
- საქართველოს ძირითადი რესურსების შეფასების სისტემატიზაცია.
- ტარიფების, ფასების, კრედიტების და მოსახლეობის რეალური შემოსავლების ანალიზი.
- საჯარო მოხელეთა რიცხოვნობის მინიმიზაციის დასაბუთება და განხორციელება.
- სასოფლო თემის დამოუკიდებელ საჯარო სამართლოს პირად ჩამოყალიბება.
- სახნავი მიწის გამოყენების ოპტიმიზაციის მექანიზმები.
- საგარეო და საშინაო სესხებისა და გრანტების ეფექტიანობის ანალიზი.
- რენტაბელური პროექტების კადასტრი და მათი რეალიზაციის მეთოდები.

ბუნებრივია, რომ ამ სიით არ ამოიწურება საქართველოს მდგრადი წინსვლითი განვითარებისთვის სასურველი და მიზანშეწონილი საკითხების სიმრავლე. დროთა განმავლობაში მოსალოდნელია მოსა გაფართოებაც და კორექტირებაც, რის შესახებაც ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

1) [www//: worldmeters.info/coronavirus](http://www.worldmeters.info/coronavirus).

2) [www//: Europa.eu](http://www.europa.eu).